

# ურთიერთგაგების მემორანდუმი

ქ. თბილისი

19 ივნისი, 2014 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში "მთავრობა"), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ; და

მეორე მხრივ, შპს "ფშავი ჰიდრო" (შემდგომში "კომპანია") ს/კ: 405026234, წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გიგაშვილის (პირადი #01003005869) მიერ;

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს (შემდგომში "მემორანდუმი") შემდეგზე:

## 1. მიზანი

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ, წინამდებარე მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლა და მისი მშენებლობა, ფლობა, ოპერირება ამ მემორანდუმით და მხარეთა შორის შემდგომში შეთანხმებული პირობების მიხედვით (შემდგომში „პროექტი“).

## 2. პროექტის ვადები და პირობები

2.1. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერიდან 9 (ცხრა) თვეში უზრუნველყოფს:

ა) მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული მდინარის ნიშნულების ფარგლებში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის დასრულებას მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ვადების შესაბამისად;

ბ) დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით წინადადების საქართველოს მთავრობისთვის წარდგენას.

2.2. იმ შემთხვევაში, თუ 2.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესრულების შედეგად კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, 2.1. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება უნდა შეიცავდეს:

ა) კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე;

ბ) ჰიდროელექტროსადგურის დადგმულ სიმძლავრეს და საშუალო წლიურ გამომუშავებას;

გ) ჰიდროელექტროსადგურის ადგილმდებარეობის ზუსტ კოორდინატებს და მდინარის შესაბამის ნიშნულებს;



დ) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების, მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების თარიღებს, აგრეთვე განსახორციელებელი ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;

ე) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევებს და მასთან დაკავშირებულ სრულ დოკუმენტაციას, მათ შორის 2 მგვტ და მეტი ჰიდროელექტროსადგურის განთავსების შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

ვ) წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ვადითა და ოდენობით სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“-სათვის მისაყიდი ელექტროენერჯის ფასს.

2.3. 2.2. პუნქტის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვის ვადაში მხარეები ერთობლივად განიხილავენ კომპანიის მიერ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საკითხს და იღებენ გადაწყვეტილებას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ან მშენებლობაზე უარის შესახებ.

2.4. 2.3. პუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, 2.3. პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) თვისა მხარეთა შორის იდება ხელშეკრულება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება“).

2.5. ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან კომპანია ვალდებულია დადგენილ ვადაში და პირობებით მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წარუდგინოს საბანკო გარანტია, ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურის ჯამური დადგმული სიმძლავრის მიხედვით, ყოველი მეგავატისათვის 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ იმ პერიოდისათვის დადგენილი კურსის შესაბამისად) ოდენობით (შემდგომში „სამშენებლო გარანტია“). ამასთან, სამშენებლო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)“ წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. სამშენებლო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15 (თხუთმეტი) პროცენტს.

2.6. მთავრობა, ამ მემორანდუმის დადებიდან 9 (ცხრა) თვის განმავლობაში კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცემს დანართი N1-ით გათვალისწინებული ნიშნულების ფარგლებში ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას სხვა პირს, გარდა 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.7. წინამდებარე მემორანდუმის 2.4 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების ვადის ამოწურვამდე მთავრობა არ გადასცემს სხვა პირს დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლებას, რომლის მშენებლობაზეც კომპანიის მიერ მემორანდუმის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება ან/და ამ



მემორანდუმის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, გარდა 2.8 და 2.9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.8. მთავრობა უფლებამოსილია 2.6. ან/და 2.7 პუნქტებით დადგენილი ვადის გასვლამდე კომპანიის თანხმობის გარეშე გადასცეს დანართი N1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და მშენებლობის, ფლობის და ოპერირების უფლება სხვა პირს, თუ:

- ა) მთავრობას გააჩნია დასაბუთებული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ კომპანია ვერ უზრუნველყოფს დანართი N1-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ჩატარებას;
- ბ) კომპანიამ დანართი N1-ით განსაზღვრულ ჰიდროელექტროსადგურზე დაარღვია მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ნებისმიერი ვადა (დანართი N2) და ასევე 4.2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული დამატებითი ვადა;
- გ) კომპანიამ დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე წერილობით უარი განაცხადა.

2.9. კომპანია ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს მთავრობას მის ხელთ არსებული დანართი N1-ით გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტები (მათ შორის ნახაზები) სრულად, უსასყიდლოდ, ექსკლუზიური საკუთრების უფლებით, თუ:

- ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წინადადება არ იქნა წარდგენილი;
- ბ) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე;
- გ) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 2.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ხელშეკრულება;
- დ) დადგა 2.8 პუნქტის შესაბამისი ნებისმიერი გარემოება.

2.10. ქვეყნის ელექტროენერჯით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი წლის განმავლობაში, კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად აშენებული ჰიდროელექტროსადგურის, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი ("ზამთრის პერიოდი")) წლიური გენერაციის არანაკლებ 20 (ოცი) %-ის ექსკლუზიური რეალიზაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს შიდა (ადგილობრივ) ბაზარზე, რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.

### 3. მიწის საკუთრების უფლება და მშენებლობის ნებართვა

3.1. პროექტის განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთ(ებ)ის კომპანიისათვის კანონმდებლობით დადგენილ წესით საკუთრებაში ან/და სანივთო უფლებებით გადაცემას.



3.2. მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღმოუჩენს კომპანიას სათანადო დახმარებას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის პროცესში, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.

#### 4. პროექტის ხარჯები, ინფორმაციის მიწოდება

4.1. პროექტთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია.

4.2. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დადების დღიდან ვალდებულია კვარტალში ერთხელ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წარუდგინოს ანგარიში, რომელიც უნდა ასახავდეს კომპანიის მიერ დანართი N2-ით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების პროგრესს, რომელიც უნდა შეიცავდეს კონკრეტული კვლევის დასაბუთების შესახებ ინფორმაციას, მიღებულ შედეგებს, გაანგარიშებებს, გათვლებს, პარამეტრებს, გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების მითითებით. თუ აღნიშნული ანგარიში, მთლიანად ან ნაწილობრივ არ არის შესაბამისი ხარისხის, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო წერილობითი შეტყობინების მეშვეობით კომპანიას უსაზღვრავს დამატებით გონივრულ ვადას 3 (სამი) თვემდე აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული დამატებითი დრო არ განაპირობებს 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაზრდას.

#### 5. მემორანდუმის მოქმედება

5.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

5.2. მემორანდუმის მოქმედება შეწყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) მემორანდუმის მოქმედება შეწყდება თუ:

ბ.ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად არ იქნა მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.ბ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.გ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 2.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 2.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 2.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ხელშეკრულება 2.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე;

გ) კომპანიამ დანართი N1-ით განსაზღვრულ ჰიდროელექტროსადგურზე დაარღვია მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ნებისმიერი ვადა (დანართი N2) და ასევე 4.2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული დამატებითი ვადა;

დ) თუ ადგილი ექნება 2.8. პუნქტის ერთი ან მეტი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს შესაბამის ჰიდროელექტროსადგურთან მიმართებაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.



5.3. წინამდებარე მემორანდუმით კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მემორანდუმის მოქმედების და კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5.4. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ აუქმებს 2.9. პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებებს.

## 6. ცვლილებები

წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. თუ მემორანდუმის რომელიმე დებულება ძალას დაკარგავს, ეს არ იმოქმედებს მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

## 7. შეტყობინება

მხარეების მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორექსონდენცია, წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს ფოსტით ან კურიერის მეშვეობით (ორიგინალთან ერთად). შეტყობინება შევა ძალაში დაუყოვნებლივ მიმღების მიერ მისი მიღებისთანავე.

## 8. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

8.1. წინამდებარე მემორანდუმი დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

8.2. ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 9. ასლები, მემორანდუმის ენა

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

## 10. ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

\_\_\_\_\_

კახა კალაძე

შპს "ფშავი ჰიდრო"

\_\_\_\_\_

ირაკლი გიგაშვილი



დანართი N1

#	ჰიდროელექტროსადგურის დასახელება	მდინარე	მდინარის დონე, ზღვის დონიდან
1	სკურდიდი ჰესი	სკურდიდი	365-265 მ.ზ.დ.

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს "ფშავი ჰიდრო"

ირაკლი გიგაიძე



დანართი №2

	ხელმოწერიდან 3 თვეში	ხელმოწერიდან 6 თვეში	ხელმოწერიდან 9 თვეში
<b>ჰიდროელექტროსადგურის დასახელება:</b>	<b>სკურდიდიჰესი</b>		
ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების განმარტებები	x		
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება		x	
გეოლოგია, გეოფიზიკა		x	
სეისმური რისკის ანალიზი		x	
სამშენებლო მასალების კვლევა		x	
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები		x	
ჰიდრავლიკური კვლევები		x	x
ალტერნატიული ანალიზი		x	
ტექნიკური დიზაინი			x
ინფრასტრუქტურა		x	
ელექტროენერჯის გენერაცია და გამოყენება		x	
გადამცემ სისტემასთან დაკავშირება		x	
გარემოზე ზემოქმედების და სოციალური რისკების შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)			x
სამუშაოების მოცულობის უწყისი			x
მშენებლობის ორგანიზირება			x
ეკონომიკური ანალიზი			x
ფინანსური ანალიზი			x
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა			x
ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის წარდგენა			x

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს "ფშავი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა"

ირაკლი გიგანაძე

